
ფუნიკულიორის კაფე

არქიტექტურული ესკიზი





განმარტებითი ბარათი

საპროექტო ტერიოტრია და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა თბილისის სამხრეთ-დასავლელით, მთაწმინდის ფერდზე მდებარეობს.ფუნიკულიორის ზემო პლატო თბილისისთვის ერთ-ერთი ყველაზე ღირებულ ადგილმდებარეობად შეიძლება მოვიაზროთ,მასზე განთავსებული ქალაქისთვის მნიშვნელოვანი ობიექტების გათვალისწინებით.


1905 წელს დასრულებული საბაგირო რკინიგზის ზედა სადგურისა და შემდგომ უკვე რესტორნის მოცულობა, არაერთ მხატვარსა თუ ფოტოგრაფს აღუბეჭდია თავიანთ ნამუშევრებში. 1955 წელს, აქვე განთავსდა თბილისის საკომუნიკაციო ანძა, რამაც შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი ობიექტი ქალაქის სავიზიტო ბარათად აქცია თავიანთი მასშტაბის , კონტექსტის და ქალაქის სხვადასხვა წერტილებიდან ვიზუალური კავშირების მრავალფეროვნებით.

სწორედ ამიტომ, ჩვენი მიზანია შევინარჩუნოთ ამ ობიექტების მნიშვნელობა ჩვენი ქალაქისთვის და არ მოვახდინოთ უხეში ჩარევა გარემოში, რომელიც თუნდაც მცირე მასშტაბით გარკვეულ ზეგავლენას მოახდენს ფერდის საერთო აღქმაზე.საპროექტო ტერიტორიას მთავარი შესასვლელის მხრიდან ესაზღვრება ღია ავტოსადგომი,ხოლო დანარჩენი სამი მხარე შერწყმულია მის გარშემო არსებულ ლანდშაფტთან და გამწვანებასთან.


დღეს არსებული მდგომარეობით, ტერიტორიაზე ნაწილობრივ გადახურული მცირე ზომის ნაგებობაა განთავსებული, რომელიც სავალალო მდგომარეობაშია და ნეგატიურად მოქმედებს გარემოზე. ასევე, აღნიშნული ნაგებობა ხელს უშლის ქალაქის ხედს და სივრცის უფრო მეტად გახსნას ავტოსადგომის მხრიდან.

ჩვენი ესკიზის კონცეფცია მოიაზრებს მაქსიმალურად გამჭოლ პირველ და მეორე სართულს, რაც ხელს შეუწყობს ვიზუალურად გამჭვირვალე და მსუბუქი მოცულობის ფორმირებას. ამგვარი მიდგომით იქმნება გარემოსთან კარგად ინტეგრირებული მოცულობა, რომელიც თავისი ხასიათით მთლიანად ფონს უთმობს და აკეთილშობილებს არსებულ გარემოს.

აქსონომეტრიული ხედი, შიდა სივრცეების ჩვენებით



აქსონომეტრიული ხედი, ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან




ღია ნაცრისფერი ბეტონის ფილა


მინის საფასადე სტრუქტურაზე მოწყობილი ვიტრაჟი,სრულიად გამჭვირვალე

ღია ვარდისფერი ბეტონის კედელი


აქსონომეტრიული ხედი, სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან



აქსონომეტრიული ხედი, სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან



აქსონომეტრიული ხედი, ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან



ხედი მთავარი შესასვლელი




ხედი მთავარი შესასვლელი



ხედი ავტოსადგომის პლატფორმიდან



ხედი ქალაქიდან



ხედი ქალაქიდან

